ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო ტესტის შეფასების კრიტერიუმები

ტექსტის რედაქტირება (20 ქულა)

I. მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული და სინტაქსური შეცდომები, მექანიკური შეცდომები ------- *9ქ.*
ამ ტიპის ყოველ შეცდომაზე მაქსიმალურ შეფასებას (9) აკლდება თითო ქულა.
II. სტილისტური ხარვეზები და ტექსტური უზუსტობები ----------*5ქ.*
ამ ტიპის ყოველ ხარვეზსა თუ უზუსტობაზე მაქსიმალურ შეფასებას (5) აკლდება თითო ქულა.
III. პუნქტუაციური შეცდომები ----------*6ქ.*
ამ ტიპის ყოველ შეცდომაზე მაქსიმალურ შეფასებას (6) აკლდება თითო ქულა.

I ვარიანტი

ანასტასია თუმანიშვილი დაიბადა 1842 წლის 25 აგვისტოს თბილისში. შვიდი წლის ანასტასია სასწავლებლად პანსიონში მიაბარეს. შემდეგ მან სწავლა განაგრძო კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში. პარალელურად ანასტასია ოჯახში ეუფლებოდა გერმანულ ენასა და მუსიკას. 1875 წელს იგი გაემგზავრა შვეიცარიასა და საფრანგეთში, სადაც გაეცნო მოზარდი თაობის აღზრდის საკითხებს და ფრიად (დიდად) განსწავლული დაბრუნდა სამშობლოში. ანასტასია საზოგადოებამ თარგმანებითა და საბავშვო მოთხრობებით გაიცნო. ამ პერიოდში საქართველოში ქალის პროფესიულ საქმიანობას ბევრი ეჭვის თვალითაც კი უყურებდა. მიუხედავად ამისა, ანასტასიამ და დიმიტრი ყიფიანის ქალიშვილმა დააფუძნეს „ქალთა წრე“, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი ქალის საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოყვანას.

ანასტასია თუმანიშვილი ერის წინსვლის ერთ-ერთ პირობად მიიჩნევდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა მშობლიურ ენაზე საფუძვლიანი სწავლა-განათლების მიღება. მან თანამოაზრეებთან ერთად დააარსა საზოგადოებრივი ორგანიზაცია „განათლება“, რომლის ხელშეწყობითაც გაიხსნა არაერთი სასწავლებელი. პირველად სწორედ ამ სასწავლებლებში გახდა შესაძლებელი ყველა საგნის ქართულად სწავლება. ანასტასია თუმანიშვილის თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა პირველ ქართულ საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილს“, რომლის გამოსვლამაც აღაფრთოვანა მოწინავე საზოგადოება. 1891 წელს ანასტასია ცოლად გაჰყვა ცნობილ მწერალ გიორგი წერეთელს. მეუღლესთან ერთად იგი გაზეთ „კვალის“ გამომცემელიც იყო. ანასტასია თუმანიშვილი გარდაიცვალა 1932 წელს, დაკრძალულია მთაწმინდაზე.

II ვარიანტი

ეკატერინე გაბაშვილი დაიბადა 1851 წლის 16 ივნისს გორში. მამამ, რომელიც ლიბერალურ თავადაზნაურობას მიეკუთვნებოდა, პატარა ეკატერინე თბილისში ჩამოიყვანა და ჯერ გერმანულ სკოლაში მიაბარა, შემდეგ კი პანსიონში გადაიყვანა. აქ მას ასწავლიდნენ ალექსანდრე ცაგარელი და იაკობ გოგებაშვილი. ეკატერინეს გადაწყვეტილი ჰქონდა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება, მაგრამ უსახსრობის გამო ეს ვერ განახორციელა და 17 წლის ასაკში მასწავლებლობა დაიწყო. იგი ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ასწავლიდა ღარიბ ბავშვებს.

ეკატერინე იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის წევრი და მრავალი წლის განმავლობაში დაუღალავად ემსახურებოდა მას. განსაკუთრებულია მისი წვლილი ისეთ მნიშვნელოვან საქმეში, როგორიცაა ქალთა უფლებების დაცვა. ეკატერინეს სახლი არაერთი მწერალი ქალის თავშეყრის ადგილი იყო. 1883 წელს მან საკუთარ ბინაში ჭრა-კერვის სკოლაც კი გახსნა. ეს იყო სასწავლებელი, რომელიც, გარდა პროფესიისა, ზოგადი განათლების მიღების საშუალებასაც აძლევდა ქალიშვილებს. ამ სკოლის მასწავლებელთა უმეტესობა უსასყიდლოდ მუშაობდა. ეკატერინე გაბაშვილმა სათავე დაუდო მეტად მნიშვნელოვანი ლიტერატურული ჟანრის (ნოველის) დამკვიდრებას ქართულ მწერლობაში. ეკატერინე 11 შვილის დედა იყო და დიდი ოჯახის გაძღოლასა და ნაყოფიერ საქმიანობას წარმატებით ართმევდა თავს. ეკატერინე გაბაშვილი გარდაიცვალა 1938 წლის 7 აგვისტოს, დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

III ვარიანტი

მარიამ ორბელიანი დაიბადა 1852 წელს. მამამისი, პოეტი ვახტანგ ორბელიანი, თეკლა ბატონიშვილის უმცროსი ვაჟი გახლდათ. მარიამმა განათლება ოჯახში მიიღო და შეისწავლა არაერთი ევროპული ენა. 1886 წელს დაარსდა მასწავლებელ ქალთა საზოგადოება, რომელიც მიზნად ისახავდა პედაგოგიურ საქმიანობაში ქალთა ჩაბმას. მარიამი აქტიურად იბრძოდა პედაგოგ ქალთა უფლებების დასაცავად. მისი ინიციატივით შეიქმნა ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოება, რომლის მხარდაჭერითაც მარიამმა წამოიწყო ზრუნვა ქალთა სკოლის გახსნაზე. მან ექვსი წლის განმავლობაში შეძლო, რომ ათი ათასი მანეთი შეეგროვებინა. ამის შემდეგ დაიწყო ბრძოლა ფორმალური მხარის მოსაგვარებლად და, დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, 1906 წელს გაიხსნა ქალთა პირველი ქართული სკოლა. გარდა ამისა, მარიამი იყო ბავშვებზე ზრუნვის საზოგადოების დამფუძნებელი წევრი. მან თამარ ჭავჭავაძესთან ერთად დააარსა კომიტეტი, რომელიც ალიხანოვ-ავარსკის მიერ გურიის აოხრების შედეგად დაზარალებულ გლეხთა დახმარებას ისახავდა მიზნად.

მარიამ ორბელიანი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელთაგანი და მისი ნამდვილი წევრი. მან განსაკუთრებული წვლილი შეიტანა სამუსიკო განათლების საქმეში, კერძოდ, იგი ნაყოფიერად მოღვაწეობდა სამუსიკო სასწავლებლის კომიტეტში. სწორედ ამ სასწავლებელს დაეფუძნა შემდგომში თბილისის კონსერვატორია. განსაკუთრებით დიდია მისი დამსახურება ისეთ მნიშვნელოვან საქმეში, როგორიცაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება. მარიამ ორბელიანი გარდაიცვალა 1941 წელს.

IV ვარიანტი

ელენე ყიფიანი დაიბადა 1855 წელს. იგი გახლდათ დიმიტრი ყიფიანის ქალიშვილი. ელენე ცნობილი იყო მთარგმნელობითი, სამსახიობო, საგამომცემლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობით. მან განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ისეთ მნიშვნელოვან საქმეში, როგორიცაა თბილისის თეატრალური დასის შექმნა. ელენეს ოჯახში ხშირად იკრიბებოდა მოწინავე საზოგადოება და იმართებოდა წარმოდგენები. მან არაერთ საოჯახო სპექტაკლში მიიღო მონაწილეობა. ნიჭიერებით გამორჩეული ქალბატონის სცენურმა წარმატებამ ხელი შეუწყო ქართული თეატრის აღორძინებას. მისი აქტიური მონაწილეობით შეიქმნა თბილისის თეატრალური დასი, რომლის მუდმივი წევრიც თავადვე გახდა.

ელენემ ანასტასია თუმანიშვილთან ერთად ჩამოაყალიბა ქალთა ლიტერატურულ-მთარგმნელობითი წრე, რომელმაც საინტერესო თარგმანები შესძინა ჩვენს ლიტერატურას. 1872 წელს გამოიცა ქალთა წრის კრებული „თარგმანი საამო საკითხავთა თხზულებათა“. ელენე აქტიურ მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა, კერძოდ, მან ფრანგულიდან თარგმნა ჰიუგოს, მოლიერისა და სხვათა ნაწარმოებები. მისი ინიციატივით ქუთაისში დაფუძნდა ჟურნალი „ქართული ბიბლიოთეკა“. აღსანიშნავია, რომ ჟურნალში მხოლოდ ქალთა ნაწარმოებები იბეჭდებოდა. ელენე ყიფიანი იყო ქუთაისის ღარიბ მოსწავლეთა კომიტეტის თავმჯდომარე და ამ კომიტეტის მიერ დაფუძნებული სასწავლებლის ხელმძღვანელი. მას ხშირად გაუმართავს წარმოდგენები ღარიბ მოსწავლეთათვის. როგორც იმდროინდელი პრესა აღნიშნავდა, ელენე ყურადღებას აქცევდა ქართულ გალობასაც და ცდილობდა ფორტეპიანოზე გადაეტანა ეს ჰანგები. ელენე ყიფიანი გარდაიცვალა 1890 წელს.

არგუმენტირებული ესეს შეფასების კრიტერიუმები (20 ქულა)

I კრიტერიუმი

№	დავალების პირობის ადეკვატური გაგება და გააზრება	ქულები
1.	დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული.	2
2.	დავალების პირობა ნაწილობრივ არაადეკვატურადაა გაგებული.	1
3.	დავალება მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული.	ნაწერი აღარ სწორდება

II კრიტერიუმი

№	ნაშრომის აგება	ქულები
1.	ნაშრომი კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	1
2.	ნაშრომში დარღვეულია ტექსტის ლოგიკა და/ან იგი ორგანიზებული არ არის.	0

III კრიტერიუმი

№	მსჯელობის დასაბუთება	ქულები
1.	მსჯელობა დამაჯერებლადაა დასაბუთებული და არგუმენტები გამყარებულია შესაფერისი მაგალითებით.	5
2.	მსჯელობა მთლიანობაში დასაბუთებულია, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში არგუმენტაცია არასაკმარისია და/ან არ არის გამყარებული შესაფერისი მაგალითებით.	4
2.	მსჯელობა დასაბუთებულია, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში არგუმენტებსა და მოხმობილ მაგალითებს დამაჯერებლობა აკლია.	3
3.	მსჯელობა ზერელედაა დასაბუთებული და არგუმენტები არადამაჯერებელია.	2
4.	მსჯელობა ძალზე ზოგადია, არგუმენტების და/ან მაგალითების მოხმობისას დაშვებულია უზუსტობა ან ფაქტობრივი შეცდომა.	1
5.	მსჯელობა დასაბუთებული არ არის.	0

IV კრიტერიუმი

№	დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება	ქულები
1.	ნაშრომში მკაფიოდ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ზოგადი განათლება.	3
2.	ნაშრომში ნაწილობრივ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა მკაფიოდ გამოვლინდა ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში მკაფიოდ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა ნაწილობრივ გამოვლინდა ზოგადი განათლება.	2
3.	ნაშრომში ნაწილობრივ გამოვლინდა ზოგადი განათლება და/ან დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.	1
4.	ნაშრომში არ გამოვლინდა დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და ზოგადი განათლება.	0

V. კრიტერიუმი

№	ლექსიკა და სტილი	ქულები
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, დაცულია ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება. გვხვდება ორიოდე სტილისტური ხარვეზი.	3
2.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, მაგრამ გვხვდება სტილისტური ხარვეზები.	2
3.	ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა და სტილისტური ხარვეზები.	1
4.	ნაშრომი სტილისტურად გაუმართავია.	0

VI. კრიტერიუმი

№	მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი	ქულები
1.	არ არის დაშვებული ერთზე მეტი შეცდომა.	4
2.	არ არის დაშვებული ორზე მეტი შეცდომა.	3
3.	არ არის დაშვებული ოთხზე მეტი შეცდომა.	2
4.	არ არის დაშვებული ექვსზე მეტი შეცდომა.	1
5.	დაშვებულია ექვსზე მეტი შეცდომა.	0

VII. კრიტერიუმი

№	პუნქტუაცია	ქულები
1.	არ არის დაშვებული სამზე მეტი შეცდომა.	2
2.	არ არის დაშვებული ექვსზე მეტი ამ ტიპის შეცდომა.	1
3.	დაშვებულია ექვსზე მეტი შეცდომა.	0

წაკითხულის გააზრების შეფასების სქემა

I ვარიანტი

3. ---------- დ)	4. ---------- ა)	5. ---------- გ)	6. ---------- ა)	7. ---------- ბ)
8. ---------- ბ)	9. ---------- დ)	10. ---------- ბ)	11. ---------- ბ)	12. ---------- ა)
13. ---------- გ)	14. ---------- ბ)	15. ---------- დ)	16. ---------- დ)	17. ---------- ბ)

II ვარიანტი

3. ---------- ბ)	4. ---------- ბ)	5. ---------- გ)	6. ---------- ბ)	7. ---------- დ)
8. ---------- გ)	9. ---------- გ)	10. ---------- გ)	11. ---------- ბ)	12. ---------- ბ)
13. ---------- ბ)	14. ---------- ა)	15. ---------- დ)	16. ---------- დ)	17. ---------- დ)

III ვარიანტი

3. ---------- ა)	4. ---------- გ)	5. ---------- დ)	6. ---------- ბ)	7. ---------- დ)
8. ---------- დ)	9. ---------- გ)	10. ---------- დ)	11. ---------- ა)	12. ---------- გ)
13. ---------- გ)	14. ---------- ბ)	15. ---------- ბ)	16. ---------- გ)	17. ---------- ბ)

IV ვარიანტი

3. ---------- ა)	4. ---------- ბ)	5. ---------- დ)	6. ---------- ბ)	7. ---------- დ)
8. ---------- დ)	9. ---------- დ)	10. ---------- ბ)	11. ---------- დ)	12. ---------- დ)
13. ---------- ა)	14. ---------- გ)	15. ---------- გ)	16. ---------- ა)	17. ---------- ბ)

წერითი დავალების შეფასების კრიტერიუმები

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა **25.** უპირველეს ყოვლისა, გამსწორებელმა უნდა განსაზღვროს, ***უპასუხებს თუ არა ნაწერი მოცემულ დავალებას***.

თუ აბიტურიენტის ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, მითითებები მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით არის შესრულებული ან ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, ***დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება***.

თუ ნამუშევარი დავალებას უპასუხებს, იგი უნდა გასწორდეს ქვემოთ მოცემული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

I კრიტერიუმი

№	*დავალების ადეკვატურად გაგება და გააზრება*	*ქულები*
1.	დავალების პირობა ***ადეკვატურადაა*** გაგებული, ტექსტი ***ღრმადაა*** გააზრებული, ნაშრომში იგრძნობა ავტორის უმთავრესი სათქმელისა და ემოციური მიზანდასახულობის წვდომა.	**4**
2.	დავალების პირობა და ტექსტი ***ადეკვატურადაა*** გაგებული.	**3**
3.	დავალების პირობა და ტექსტი ***მთლიანობაში ადეკვატურადაა*** გაგებული და გააზრებული, თუმცა ***ერთ*** შემთხვევაში შეინიშნება დავალების პირობის ან ტექსტის არაადეკვატური გაგება.	**2**
4.	***ერთზე მეტ*** შემთხვევაში დავალების პირობა ან/და ტექსტი ***არაადეკვატურადაა*** გაგებული.	**1**
5.	ტექსტი ***მთლიანობაში არაადეკვატურადაა*** გაგებული.	**0 ნაწერი აღარ სწორ-დება**

II კრიტერიუმი

№	*ნაშრომის აგება*	*ქულები*
1.	ნაშრომი უპასუხებს ***სამივე*** მითითებას და ***კარგადაა ორგანიზებული,*** მონაკვეთები ***თანამიმდევრულად და ლოგიკურად*** ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები ***სწორადაა*** გამოყოფილი *(დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ **ერთი-ორი** წინადადებით იქნება პასუხი გაცემული).*	**3**
2.	ნაშრომი უპასუხებს ***სამ*** მითითებას, თუმცა ***ნაწილობრივ დარღვეულია*** ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები ***არასწორადაა გამოყოფილი;*** ან ნაშრომი უპასუხებს ***ორ*** მითითებას და ***კარგადაა*** ორგანიზებული, მონაკვეთები ***თანამიმდევრულად და ლოგიკურად*** ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები ***სწორადაა*** გამოყოფილი.	**2**
3.	ნაშრომი უპასუხებს ***ორ*** მითითებას, თუმცა ***ნაწილობრივ დარღვეულია*** ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები ***არასწორადაა*** გამოყოფილი; ან ნაშრომი უპასუხებს ***ერთ*** მითითებას და ***კარგადაა*** ორგანიზებული, მონაკვეთები ***თანამიმდევრულად და ლოგიკურად*** ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები ***სწორადაა*** გამოყოფილი.	**1**
4.	ნაშრომი უპასუხებს ***ერთ*** მითითებას, თუმცა ***ნაწილობრივ დარღვეულია*** ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები ***არასწორადაა*** გამოყოფილი.	**0**

III კრიტერიუმი

№	*მოსაზრებების არგუმენტირება და ადეკვატური ციტირება*	*ქულები*
1.	მსჯელობა ***სამივე*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** (არგუმენტირებულია) და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით.	**6**
2.	მსჯელობა ***ორი*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით.	**5**
3.	მსჯელობა ***ორი*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითება საერთოდ ***არ არის*** შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული).	**4**
4.	მსჯელობა ***ერთი*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით, ხოლო ***ორ*** მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით.	**3**
5.	მსჯელობა ***ერთი*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით, ***მეორე*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითება საერთოდ ***არ არის*** შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული).	**2**
6.	***სამივე*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით.	**1**
7.	***ორი*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითება საერთოდ ***არ არის*** შესრულებული; ან მსჯელობა ***ერთი*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ ***არ არის*** შესრულებული; ანდა ***ერთი*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ ***არ არის*** შესრულებული.	**0**

IV კრიტერიუმი

№	*ტექსტის მხატვრული თავისებურებების შეფასება*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***გამოყოფილია*** ტექსტის ***არაერთი*** მხატვრული თავისებურება (***მოცემულია*** მსჯელობა ავტორის სტილისა და/ან მხატვრული საშუალებების შესახებ) და მსჯელობა ***დასაბუთებულია*** კონკრეტული მაგალითებით.	**2**
2.	ნაშრომში ***გამოყოფილია*** ტექსტის ***არაერთი*** მხატვრული თავისებურება (***მოცემულია*** მსჯელობა ავტორის სტილისა და/ან მხატვრული საშუალებების შესახებ) და მსჯელობა ***დასაბუთებულია*** კონკრეტული მაგალითებით, თუმცა მოხმობილია ***ერთი*** არაადეკვატური მაგალითი; ანდა გამოყოფილია ტექსტის ***ერთი*** მხატვრული თავისებურება და მსჯელობა ***დასაბუთებულია*** კონკრეტული მაგალითით.	**1**
3.	ნაშრომში ***გამოყოფილია*** ტექსტის მხატვრული თავისებურებები (***მოცემულია*** მსჯელობა ავტორის სტილისა და/ან მხატვრული საშუალებების შესახებ), მაგრამ ***არ არის*** დასაბუთებული კონკრეტული მაგალითებით ან მოხმობილია ***ერთზე მეტი*** არაადეკვატური მაგალითი; ანდა ნაშრომში ***არ არის*** გამოყოფილი ტექსტის მხატვრული თავისებურებები (***არ არის*** მოცემული მსჯელობა ავტორის სტილისა და/ან მხატვრული საშუალებების შესახებ).	**0**

V კრიტერიუმი

№	*დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ზოგადი განათლება.	**3**
2.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	**2**
3.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლებაც და დამოუკიდებელი აზროვნების უნარიც; ან ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	**1**
4.	ნაშრომში ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, აგრეთვე ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	**0**

VI კრიტერიუმი

№	*ფაქტობრივი შეცდომები*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***არ არის*** დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა.	**1**
2.	ნაშრომში ***დაშვებულია*** ფაქტობრივი შეცდომა.	**0**

VII კრიტერიუმი

№	*ლექსიკა და სტილი*	*ქულები*
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ***ზუსტად და მკაფიოდაა*** გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის ***შესაფერისი სტილი,*** აგრეთვე ***დაცულია*** ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება, გვხვდება ***ორიოდე*** სტილისტური ხარვეზი.	**2**
2.	ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ***ლექსიკა მწირია,*** გვხვდება ***რამდენიმე*** სტილისტური ხარვეზი.	**1**
3.	თხზულება სტილისტურად ***გაუმართავია.***	**0**

VIII კრიტერიუმი

№	*სინტაქსური კონსტრუქციები*	*ქულები*
1.	ნაშრომში დაშვებულია ***ერთი*** სინტაქსური შეცდომა.	**2**
2.	ნაშრომში დაშვებულია ***ორი*** სინტაქსური შეცდომა.	**1**
3.	ნაშრომში დაშვებულია ***ორზე მეტი*** სინტაქსური შეცდომა.	**0**

IX კრიტერიუმი

№	*მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია*	*ქულები*
1.	არ არის ***ოთხზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	**2**
2.	არ არის ***ცხრაზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	**1**
3.	დაშვებულია ***ცხრაზე მეტი*** ამ ტიპის შეცდომა.	**0**